№ 30. **სახალხო გაზეთი** № 30.

შაბათი, 12 ივნისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწადი პირველი


## „სახალხო გაზეთის"

**კანტორა აცხადებს, რომ ვისაც გაზეთის გამოწერა უნდა, ფული აუცილებლად ამ ადრესზე უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ Большая Ванкская № 12, Семену Пащалишвили.**
**ვისაც ფული გამოგზავნილი აქვს სხვა ადრესზე, ვთხოვთ აცნობონ ფოსტის კანტორას ამ ადრესზე გადასცენ ფული.**

**მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისამდე უნდა წარედგინათ 7 მანეთი.** ვისაც ამაზე ნაკლები აქვს წარმოდგენილი, ვთხოვთ შემოიტანონ, **პირველ ივლისიდან** გაზეთის გზავნა მოესპობა ყველას, ვისაც **5 მან. 50 კაპ.** ნაკლები აქვს წარმოდგენილი. აგრეთვე მოესპობათ გზავნა გაზეთისა, ვისაც ნახევარი წლითა ჰქონდა გამოწერილი.

**სახალხო გაზეთის კანტორა.**

## ქართველ თავად-აზნაურობის
**ახალი საზაფხულო თეატრი**

**დღეს შაბათს, 12 ივნისს** გაიმართება მეორე წარმოდგენა გამოჩენილ იტალიელ არტისტ.

# ოტტონე ფრანკარდისა

ახალი დიდი სენსაციონური პიესა „ის", პროგრამმა ახალი!! და ორიგინალური!! ყველა შესანიშნავი რამ ერთ ღამეს.

**დასაწყისი საღამოს 9 საათ.** ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11 ს.

(3—ზალ.—3)

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა
# საბჭო

ამა 1910 წლის 1 სექტემბრიდან იწვევს გალობისა და სიმღერის მასწავლებელს ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისა და საანბანო სკოლისათვის. მასწავლებელს ჯამაგირი ექნება წელიწადში 900 მან. სასურველია მასწავლებელმა მუსიკა იცოდეს. თხოვნებს მიიღებს სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ამა წლის 10 აგვისტომდის ჭიათურაში.

(3—6.—3)

## ექ. ვ. ღამბაშიძის
# სანატორიუმი
**პატარა ცემში**

**გაიხსნება 15 ივნისს ორის განყოფილებით:**
ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.
დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ღამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს.

(25—10)

**გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი**

# „ერი და კაცობრიობა"

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

**ადრესი:** Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—7)

## ბალი
# მუზა

მიხაილოვის პროსპექტი № 163. კუთხე ბაქოს ქ.

ყოველდღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, არის ბუფეტი და აგრეთვე აზიური და ევროპიული სამზარეულო. ბალში შესვლა უფასოა.

(25—5)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ბ. **გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. **ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ბ. **ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
მ. **გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

(წლ.—6.—362)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ოთხშაბათს, 16 ივნისს, 1910 წ.**

ქართულ დრამატიულ არტისტებისაგან სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება

I. **ძა-ძმა** დრ. 5 მ. და 6 სურათ. გ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი შ. საღარაძე, ა. ჭელიძე, დ მგალობლიშვილი, ა. მატარაძე, ი. გრიშაშვილი, კულაშვილი, ანაშვილი, მაისურაძე, კაპანაძე, ალექსიძე და სხვ.

II. **საკონცერტო განყოფილება**

მონაწილეობენ: ქ-ნი მ. გ. მუსხელაშვილი, ბ-ნნი: ი. გრიშაშვილი, გ. ჩუბინოვი და ელიოზოვი.

ადგილების ფასი 10 კ.-დან 1 მ.-მდე. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. გამგე **ა. შალიძე.**

## ავლაბრის თეატრი
(დირექცია აშო-ზარშიანისა).
**კვირას, 13 ივნისს, 1910 წელს**

ქართული დრამატიული დასის არტისტების ქ.ქ. ნ. გოცირიძელის, ვ. შოთაძის, ბ. ნეზიერიძის; ბ.ბ. ი. ზარდალიშვილის, ს. ივანიძის, ვ. მატარაძის, შ. ხაჯაროვის და ა. ჭელიძის მონაწილეობით პირველად ავლაბრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

# „ღალატი"

ისტ. ლეგ. 5 მ., თარგ. გ. ყიფშიძის მიერ.

ადგილების ფასი 10 კ.-დან 1 მ.-მდე. **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**
ბილეთების ყიდვა შეიძლება ყოველ დღე თეატრის კასაში, კონტრამარკა არავის მიეცემა.
გამგე **გ. მატარაძე.**

## ქუთაისის ქალაქის გამგეობა

მით აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოს 1909 წლის ნოემბრის 16 რიცხვის დადგენილება სალორიაში, საფიჩხიასა და კახიანურში მდებარე ქალაქის

# სამოსახლო ადგილების

მოიჯარადრეთაგან შეყიდვის შესახებ უკვე ძალაში შევიდა და მოიჯარადრეთ შეუძლიათ შეიყიდონ ადგილები.

(3—6.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვერტ..." ტელეფონი № 590.

**ღამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ...
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ, და შაბ. 10—12 ს.
**ქაჩკოძე ტ. ხ.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და ... ხას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**ხოზოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოვ. დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით.

(900—6.—201)

## ქუთაისის ვაჟთა
# გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მომავალ 1910—1911 სამოსწავლო წლის დაწყებიდან გიმნაზიაში სწავლის ფულის რაოდენობა გადიდებული იქნება —70 მან. მაგიერ 80 მანეთი იქნება გადასახდელი.

(3—6.—2)

## წიგნის გამომცემელი ამხანაგობა
# ალიონი

**მიიღება ხელის მოწერა სამ წიგნზე ერთად, 15 ივნისამდე.**

1 **კარლ კაუცკი.**—(კარლ-მარქსის ეკონომიური მოძღვრება) თარგმანი რუსულიდან **ფ. მახარაძისა**, ავტორის და კ. მარქსის სურათებით, მათი მოკლე ბიოგრაფიებით და მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობით, (დაახლოვებით) 500 გვერდამდე.
2 **ივ. გომართელი.** „ადამიანის ნება და ზნეობა" 100 გვერდამდე.
3 **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.** „ბედის ტრიალი" (რომანი) და „ეკალესიის გარშემო" (მოთხრობა) ავტორის სურათით (ორივე ერთ წიგნად), პირველის შინაარსი აღებულია ქართველ თავად-აზნაურობის და მეორესი—დღევანდელ სამღვდელოების ცხოვრებიდან 400 გვერდამდე.

სამივე წიგნი დაიბეჭდება ცალ-ცალკე ერთ და იმავე დროს. ხელის მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის მოწერა დაიწყო პირველ მაისიდან ამა 1910 წლისა და შეწყდება 15 ივნისს.

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ კვიტანციის გამყიდველი არა გვყავს, ხელის მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯი, ე. ი. 1 მ. 50 კ. სამივე წიგნის.

ვინც ზემოხსენებულ დროს განმავლობაში არ მოაწერს ხელს ხსენებულ წიგნებზე, ის ცალკე გასაყიდათ წიგნებს ვერ იშოვის, ხოლო თუ იშოვა, სამჯერ მეტი ეღირება ვინემ ხელის მოწერით.

გამომცემლობის მიზანია კარგ შინაარსიან წიგნების იაფ-ფასად გამოცემა, რასაც ამტკიცებს „ალიონი"-ს მიერ გამოცემული წიგნები: N 1. „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა 567 გვერდიანი, ღირდა ხელის მოწერით 60 კ. და N 2. „გლეხი-კაცის ისტორია" 1080 გვერდიანი წიგნი ხელის-მოწერით ერთი მანეთი.

თუ ვინიცობაა ზოგიერთ შემთხვევაში სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო გადარჩა ზედმეტი ეგზემპლიარები გამოცემული წიგნებისა, ასეთები უსათუოდ სამჯერ მეტ ფასში გაიყიდება, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ვინაიდან სხვა გზით შეუძლებელია **ამ სისტემით წიგნების გამოცემა.** ამიტომ ვურჩევთ მსურველთ ხელის მოწერით შეიძინონ ხსენებული წიგნები.

გამომცემლობა ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ უცნობ პირებისაგან კვიტანციები არ იყიდონ. ხელ-მოხაწერ კვიტანციებზე დაკრულია «ალიონის» ბეჭედი.

წიგნები დაურიგდებათ ხელის-მომწერთ სექტემბრის პირველ რიცხვებში. პროვინციებში წიგნები მიიღება კვიტანციის გამყიდველთან და ტფილისში გამომცემლობის გამგესთან, კიროჩნი ქ. N 9.

როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში ხელის-მოწერა მიიღება ჩვენ აგენტებთან.

**„გლეხი-კაცის ისტორიაზე" ხელის მომწერთა საყურადღებოდ გაცხადებთ, რომ წიგნები უკვე გაეგზავნა აგენტებს და ცალკე ხელის მომწერთ.** ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, უნდა გვაცნობონ ღია წერილით, ამასთანავე თუ წიგნში ფურცლები გაფუჭებული აღმოჩნდეს, ასეთ წიგნებს გამომცემლობა გამოუცვლის ხელის-მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія, Кирочная ул. № 9.

(0—1) წიგნის გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.

**სარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოყოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—6 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—ქალებ., ყოველდღე 1—2 ს.
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^{1}/_{2}$ საათ.
**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—6 ს.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.
**მიკირტუმოვი** მიხტარიანცის ნაცვლად) დილის $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ ს. ყოველ-დღე.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—$11^{1}/_{2}$ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. (100—6.—51)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. ... (უ)

**ექიმი ქუთაისში**
**კ. თ. ტყეშელაშვილი**
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—64

**ექიმი დ. ახვლედიანი**
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N·92. წლ.

**ექიმი კბილისა ქუთაისში**
**ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვიანის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—455)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი კბილისა**
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ღამბაშიძე**
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი**
**ქუთაისში**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—202)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—85)

**ექიმი კბილისა**
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა. ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—142)

## განცხადებების
**მომკრები აგენტი**
# მ. ა. გაჩეჩილაძე

გადავიდა მიხეილისა და კიროჩნის ქ. ქ. კუთხეში, სასტუმრო „იმპერიალში" და კვლავ განაგრძობს მუშაობას. (10—8)

## დ. სურამის
## კერძო პროგიმნაზიაში

**1 ენკენისთვიდან იხსნება მეოთხე კლასი.** ...
წყობა 25 მარიამობისთვიდან 1910 წლისა. (5—314—3)


## ტფილისი, 12 ივნისი.

ისე ქართული საქმე არ დაწყებულა, რომ არ დაგვეყვირა, ჩვენ ენერგიითა ვართ აღვსილნი, მაგრამ ნაყოფიერ მუშაობას ობიექტიური პირობები გვიშლისო. ძალიან ხშირად ვქვს გარეშეა, ეს ობიექტიური პირობებიც საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების შემბოჭველი ხდება ხოლმე, მაგრამ არც ისე ძლიერ, რომ ყოველთვის ყველაფერი იმას დავაბრალოთ. ჩვენს საკუთარ უმოქმედობას, უნარის უქონლობას ხშირად სრულიად უმიზეზოდ ყბად აღებულ ობიექტიურ პირობებს ვაბრალებთ. ჩვენ თვითონ არა გვაქვს პატივისცემა ჩვენის თავისა და მაინცა ვთხოულობთ, რომ სხვებმა გვცენ პატივი; ჩვენ თვითონ არ გვინდა რამის გაკეთება და სხვებს კი ვაბრალებთ—მუშაობას გვიშლიანო. ავიღოთ, მაგალითად, ქართულ ენის საქმე. როდესაც მასწავლებელმა კუსტინოვიჩმა ქართულ ენას „პირუტყვთა ენა" უწოდა, ყველამ თავი შეურაცხყოფილად ჩასთვალა და პროტესტი პროტესტზე განაცხადა; ყველას მაშინ გაეღვიძა სიყვარული და ნაზი გრძნობები სამშობლო ენისადმი. მიუხედავად ამისა, შეგნებული ნაწილი ქართველ ინტელიგენციისა მაინც დაუკმაყოფილებელი დარჩა ამ პროტესტებით. ეს აიხსნება იმ უბრალო გარემოებით, რომ ამ პროტესტებს ძლიერი შინაგანი იმპულსი არ ამოძრავებდა, იგი გულის სიღრმიდან არ იყო ამოხეთქილი. როგორ უნდა ამოხეთქილიყო იგი გულის სიღრმიდან, როდესაც ქართული ენა ქართულ ინტელიგენციისთვის აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს, როდესაც ქართული ენა ორგანიულად არ არის დაკავშირებული ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან? როგორ უნდა დაიბადოს პატივისცემა თავის საკუთარ ენისადმი, როდესაც ჩვენი ინტელიგენცია რუსულად აზროვნობს, რუსულად

სწერს და რუსულადა ლაპარაკობს? ქართული ენა სალაზღანდარო ენათაა გადაქცეული განსაკუთრებით ჩვენის საზოგადოების იმ ნაწილის მიერ, რომელიც ყველაზე მეტსა ყვირის ეროვნულ ცხოვრების დაცემაზე. განა ამისთანა პირობებში მოსახერხებელია ღრმა პატივის-ცემით გამსჭვალვა საკუთარ ენისადმი? განა ამის შემდეგ უფლება აქვს საზოგადოების ამ ნაწილს პროტესტები აცხადოს, როდესაც სრულიად უცხო ადამიანს „პირუტყვთა ენად“ უჩვენება ქართული ენა? თქვენ თითონ გადააქციეთ ქართული ენა პირუტყვთა ენად, თქვენ თითონ, თქვენის მახინჯის მოქმედებით, მშვენიერი ნიადაგი მოამზადეთ იმისთვის, რომ ოდესღაც მდიდარი, ლამაზი ენა დაბალ ხარისხოვან, სალაზღანდარო ენად გადაქცეულიყო. ჯერ თვით ქართველი ინტელიგენცია უნდა გაიმსჭვალოს თავის ენისადმი სიყვარულით და მერე სხვას მოსთხოვოს პატივისცემა.

ამას კი ჩვენ ვერსადა ვხედავთ. კერძო ლაპარაკის დროს ყველა დამტვრეულ რუსულით ლაპარაკს ამჯობინებს ქართულს, რუსულ გაზეთებში მომუშავე ქართველებს, არ ვიცით რა მოსაზრებით, უხეირო რუსული ენით წერა სასახელო საქმეთ მიაჩნიათ. თავად-აზნაურთა კრებაზე თითქმის ყველა რუსულად ლაპარაკობდა და ამასთანავე ყველა უხეიროთ. ათასში ერთი თუ დაიწყებს საზოგადო კრებაზე ქართულად ლაპარაკს, მაგრამ იმასაც მტრულის თვალით უცქერიან ხოლმე. ასეთი შემთხვევა მოხდა თავად-აზნაურთა კრებაზე. ბ. მიხ. ყიფიანმა ქართულად დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ თავმჯდომარემ ლაპარაკის ნება არ მისცა, რუსულ გაზეთების კორესპოდენტები არიან აქაო. საზოგადოება გულ-გრილად შეჰხვდა ამნაირ განცხადებას, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს არავინ ანგარიში გაუწიოს გაზეთის კორესპოდენტს. იყო დრო, როდესაც სახელოვანი წინამძღოლი ქართველ თავად-აზნაურობისა, დიმიტრი ყიფიანი, მთელ თავის ძალ-ღონით ემსახურებოდა ქართველ ხალხს და ქართულ ენას. ტყუილ უბრალოდ აბუჩად არავის აგდებინებდა. ეხლა იმისი მოადგილენი თვითონ ავიწროვებენ და აბუჩად იგდებენ ქართულ ენას. დრონი მეფობენ!..

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი იყო შეკითხვა ადესის გრადონაჩალნიკის ტოლმაჩევის უკანონო მოქმედების შესახებ. ამის გამო „რუსკ. ვედ.“ სწერს:

სათათბირო მხოლოდ მის მოღვაწეობის ერთ მცირე ნაწილს შეეხო... სახ. სათათბირომ უკანონოდ იცნო ტოლმაჩევის მოქმედება სათათბიროს დეპუტატის არჩევის დროს და მისი მოღვაწეობა უნივერსიტეტის ცხოვრების „ნორმალურ კალაპოტში“ ჩასაყენებლად. სათათბირომ უკანონოდ იცნო ტოლმაჩევის ჩარევა არჩევნებსა და უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ხოლო არ მიიღო შეკითხვის ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა მის მოქმედებას ქალაქის თვითმმართველობის არჩევნების დროს. მიუხედავად ამისა, გენერალის სტრატეგია ორივე კომპანიის დროს ერთნაირი იყო. არჩევნების დროს გენერალმა ტოლმაჩევმა დაიბარა ყველა რედაქტორები, გარდა მემარჯვენე გაზეთებისა, და აუკრძალა იმ კანდიდატებზე წერა, რომელნიც ადმინისტრაციის მიერ მოწონებულნი არ იყვნენ. მემარჯვენენი კი თამამად გაჰკიოდნენ თავიანთ კანდიდატებზე. სათათბირომ ასეთი მოქმედება უკანონოდ იცნო.

სათათბირო უკანონოდ სცნობს, მაგრამ ის იცნობს უკანონოდ, ვის იდუმალ თანაგრძნობითა და თანხმობითაც მოქმედებდა გენერალი ტოლმაჩევი? ადმინისტრაციის წარმომადგენელთა რამდენი უკანონო მოქმედება იქმნა დარჩენილი უყურადღებოდ?

* * *

აუარებელი მტრები მოსვენებას არ აძლევენ „ნოვოე ვრემია“-ს მებაირახტრეს, მენშიკოვს. მისი რაინდული ხმალი მედიდურათა ჰკაფავს მოწინააღმდეგეთ. რომელთა რიცხვი თვით რუსეთის მცხოვრებთა საერთო რიცხვს აღემატება. განსაკუთრებით მოსვენებას არ აძლევს მენშიკოვს ფინლანდიის საკითხი.

გაიძვერა „შვედომანები“ „ეძღო-კადეტებთან“ ერთად ხაფანგს უგებენ რუსეთს ... მთელი არგუმენტაცია ფინლიანდიის სეპარატიზმისა დამყარებულია იმ ხშირად გამოურკვეველ და ბუნდოვან დაპირებებზე, რომელთაც ჩვენი მეფეები აძლევდნენ მათ. ეს „დაპირებანი“ სეპარატისტებმა „ვალდებულებად“ გადააქციეს და ამასთანავე გამოურკვევლობით და ბუნდოვანებით ისე ისარგებლეს, როგორც მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო. რაკი თვითმპყრობელმა თავისი დაპირების სიტყვა წარმოსთქვა, ამბობენ ისინი, იგი აუცილებლად ასრულებულიც უნდა იქმნას, თვითმპყრობელსაც კი არ შეუძლიან უკან წაიღოს თავისი სიტყვა და დანაპირები არ შეასრულოს. რადგანაც ამ შემთხვევაში თვითმპყრობელის სიტყვა რუსეთის საზარალოთ მიაჩნიათ, თვითმპყრობელობის დაუძინებელმა მტრებმა ვაი უშველებელი ასტეხეს, თვითეული სიტყვა მონარქისა კანონია, ყოველი დანაპირები, თუნდაც იგი უცაბედად იქმნას წარმოთქმული, უნდა შესრულდეს. შორს მხედველი მკითხველი კარგად დაინახავს, რანაირ ხაფანგში სურთ ჩააგდონ უდიდესი ძალა ჩვენი ისტორიული ბედისა. ჩვენი ძლიერება სურთ დაამხონ ჩვენივე ძლიერებით, თვითმპყრობელობა სურთ არა თუ განსაზღვრონ, არამედ სრულიადაც მოსპონ თავისივე ავტორიტეტით.

რუსეთის თვითპყრობელობა ვერ დაამხო ვერც 1905 წლის საზიზღარმა „ბუნტმა“, ვერც სხვა რამემ, ეხლა მტრებმა ეშმაკობას მიჰყვეს ხელიო, გვიბოროტდებაო მენშიკოვი. არ გეგონოს, მკითხველო, რომ ამ სიაში ავაზაკთა ბრბოს მარტო ებრაელები და კადეტები შეადგენენ. მათ სიაში მოხვდა თვით თ-დი მეშჩერსკიც, ცნობილი კონსერვატორი და ერთგული დამცველი თვით-მპყრობელობისა.

აი რას ამბობს თ-დი მეშჩერსკი ამ საკითხის შესახებ—გადმოგვცემს მენშიკოვი:—„სისხლი და გადმოცემანი თვითმპყრობელისა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე აზნაურთა სისხლი და გადმოცემანი... მეფის სიტყვა, როგორც ღმერთისა, დაურღვეველია. ცხადია, პატივცემული თავადი მეშჩერსკი ამ ფორმულას თითქმის სარწმუნოებრივ ხასიათს აძლევს.

მენშიკოვს, რა თქმა უნდა, ასეთი უკიდურესი გაღმერთება მეფის სიტყვისა არაფრად ეპაშნიკება. მენშიკოვი უფრო მიწის კაცია და ამიტომ შესაძლებლად მიაჩნია დანაპირების უკან წაღება, თუ ამას სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს. გარდა ამისა, ფაქტიურად, თურმე, არავითარი ვალდებულობაც არ არსებობს, იყო მხოლოდ დაპირება, რომლის შესრულება ან არ შესრულება თვით მონარქის სურვილზეა დამოკიდებული.

## სახელმწიფო საბჭო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

**10 ივნისის სხდომა.**

თავმჯდომარეობს აკიმოვი. სხვა და სხვა წვრილმან კანონ-პროექტის განხილვის შემდეგ საბჭომ განაგრძო ფინლანდიის კანონ პროექტის განხილვა. **სტიშინსკი** პასუხს აძლევს იმ ორატორებს, რომელნიც მხარს არ უჭერენ კანონ-პროექტს და ამტკიცებს, ფინლანდიის სახელმწიფოებრივობა ლეგენდააო. ფინლანდიის ავტონომია ყოველთვის ადგილობრივ, პროვინციალურ ხასიათისა იყო. მეფეებს არასოდეს არ მიუციათ ფინლანდიელებისთვის უფლება საიმპერიო საკითხების გადაწყვეტისა. ორატორს შეუძლებლად მიაჩნია კანონ-პროექტის მეორე მუხლის შინაარსის შემცირება და ამტკიცებს, ძველი პოლიტიკის გაგრძელება შეუძლებელია, რადგანაც ფინლანდიელები უკვე აშკარად ჰქადაგებენ აქტიურ წინააღმდეგობის საჭიროებაზეო. **კამენსკი** კანონ-პროექტის წინააღმდეგია, რადგანაც იგი რუსეთის მავნებლად მიაჩნია. **თ დი ობოლენსკი** არც უარჰყოფს კანონ-პროექტს და არც ის უნდა, რომ იგი სახელმწიფო სათათბიროს რედაქციით იქმნას მიღებული. ბევრი კანონ-პროექტს იმიტომ უარჰყოფს, რომ შიგ ბევრი შეცდომებია. შეცდომების თავიდან ასაცილებლად კანონ-პროექტის უარყოფა კი არ არის საჭირო, არამედ მისი შესწორება. **სერგეევიჩი** კანონ-პროექტის წინააღმდეგია; მას წარმოუდგენელად მიაჩნია ორნაირი კანონმდებლობის არსებობა. თვითეულ სახელმწიფოში აუცილებლად ერთი საკანონმდებლოა, აუცილებლად შინაგანი, ეს შინაგანი კანონმდებლობა აუცილებლად საზოგადოც უნდა იყოს, არავითარი დაპირისპირება საზოგადო და შინაგან კანონმდებლობათა შორის არ არსებობს. თუ ასეთი დაპირისპირება არსებობს, მას შეუძლიან ხაოტიური მდგომარეობა შეჰქმნას რუსეთის კანონმდებლობაში. კანონ-პროექტისა და კომისიის თვალ-საზრისით ფინლანდია საკუთარ კანონმდებლობით აღჭურვილი პროვინციაა. ასეთი აზრი რუსეთის მთლიანობისათვისაც მავნებელია და ხელსაყრელი სხვა პროვინციებისათვის, რომელთაც შეუძლიანთ ასეთივე უფლება მოითხოვონ. ადგილობრივი საჭიროებები დაკმაყოფილებულ უნდა იქმნან ადგილობრივ თვითმმართველობის შემწეობით, და არა ადგილობრივ კანონმდებლობით. **კონის** არ მოსწონს, რომ კანონ-პროექტს ასე ძალიან აჩქარებენ და ურჩევს საბჭოს სახელმწიფო სათათბიროს მაგალითს ნუ მიჰბაძავს. კანონ-პროექტი მეტად საყურადღებო საკითხს ეხება, სრულიად უსარგებლოდ სცვლის ფინლანდიის წეს-წყობილებას, რომელიც ჩვენი მეფეთა მიერ არის განმტკიცებული. მეორე მუხლი იმ განზრახვით არის შედგენილი, რომ შემდეგ შესაძლებელი გახდეს მუხრუჭის მოჭერა. ორატორი ურჩევს საბჭოს, კანონ-პროექტი გადასცეს კომისიას, დაევალოს მას განხილვა და გარკვეულ საზღვრების აღნიშვნა იმისა, თუ რა უნდა შედიოდეს საერთო კანონმდებლობაში და რა—ადგილობრივში. **იზვოლსკის** საჭიროდ არ მიაჩნია ასეთი აჩქარება. მომხსენებელი **დეიტრიხი** პასუხს აძლევს ორატორებს და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ იგი კანონ-პროექტის შეუცვლელად მიღებას არა თხოულობს, მაგრამ ისიც შეუძლებლად მიაჩნია, რომ იგი კომისიას გადაეცეს. შემდეგი სხდომა დაინიშნა 11 ივნისისათვის.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**10 ივნისი.**

**საზღვარ-გარედ.**

**ბერლინი.** გარდაიცვალა პოტს დამის ახლოს რულებენში ხოლერის ნიშნებით ავად გამხდარი მუშა. ხოლერით ჯერ სხვა არავინ გამხდარა ავად.

**პარიზი.** ჰავასს ათინიდან ატყობინებენ: საბერძნეთის მთავრობამ რუმინიის ორთქლმავალ „იმპერა ტორ ტრაიან“-ზე მომხდარ ინციდენტის გამო იტალიის ელჩს, რომელიც ამასთანავე რუმინიის მთავრობის წარმომადგენლად ითვლება, განუცხადა, რომ მზადაა გადაუხადოს დაზარალებულთ ზარალი, რომელსაც სამედიატორო სასამართლო დაადგენსო.

**ბერლინი.** მიკროსკოპიული გამოკვლევით დამტკიცდა, რომ რულებენში რუსი მუშა ხოლერით გარდაიცვალა.

**ვენა.** „კორესპონდენც-ბიურო“-ს სერაევიდან ატყობინებენ: სეიმის უმრავლესობამ, რომელსაც მართლმადიდებელი სერბები, მაჰმადიანები და ხორვატები შეადგენენ, დაადგინა გაფართოვდეს კონსტიტუცია, რადგან დღევანდელი კონსტიტუცია ხალხის იმედებს არ ამართლებსო.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა ახალ პალატის თავმჯდომარემ იუსტის პარტიის წარმომადგენელთა მოწუემა მოდარიამა მიულოცა პირდაპირ ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს და მწუხარება გამოსთქვა არჩევნების დროს მთავრობის უკანონო საქციელის გამო (ტაში მარცხნივ, პროტესტი მარჯვნივ). 12 ივნისს იმპერატორმა მიიღო დეპუტატები.

**პარიზი.** 2 საათსა და 55 წუთზე მოვიდა მეფე ფერდინანდი მეუღლითურთ. სადგურზე მას მიეგებნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი ფალიერი, მინისტრები: ბრიანი, პიშონი და სენატის და დეპუტატთა პალატის პრეზიდენტები. ფერდინანდმა რესპუბლიკანურ გვარდიის წინ გაიარა ფრონტით. გაისმა ბოლგარული ჰიმნი და მარსელიეზა. მეფე ფერდინანდი და ფალიერი ჩასხდნენ პირველ ეტლში, ხოლო მათი მეუღლენი—მეორეში. აქედან ისინი გაემგზავრნენ გარეშე საქმეთა სამინისტროში. აქეთ იქით გამწკრივებული იყო ჯარი. გაისმოდა მარსელიეზა, ისროდნენ ზარბაზნებს. შემდეგ მეფემ დედოფლითურთ ინახულა ელისეს სასახლე. პრეზიდენტი ფალიერი და მისი მეუღლე თავის მხრივ მათ სადარბაზოდ ეწვივნენ. ფერდინანდმა ინახულა სენატის, საბჭოს, დეპუტატთა პალატის პრეზიდენტები და მინისტრები.

**სოფია.** ხელმწიფის და მინისტრების პარიზში წასვლის გამო „პრეპორეცი“ სწერს: ეს სტუმრობა ხელს შეუწყობს ბევრ საკითხში აზრთა გაცვლა-გამოცვლას, დაადასტურებს ბოლგარების ფრანგებისადმი სიმპატიას და ხელს შეუწყობს მათ ერთმანეთთან უფრო დაახლოვებასო.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ბერძნების საქონლის ბოიკოტი უფრო და უფრო ძლიერდება. გალათში სალამოობით ბერძნების ყავახანების სტუმართა და ბოიკოტის მომხრეთა შორის შეტაკებები ხდება. ბოიკოტის საპასუხოდ რესტორანების და მაღაზიების პატრონმა ბერძნებმა გადასწყვიტეს დაკეტონ იგინი. ბოიკოტის მოსასპობად მიღებულმა მთავრობის ზომებმა ჯერ-ჯერობით ვერ გასჭრა. აქ კრეტის საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტის იმედი აქვთ. მთავრობა კმაყოფილია რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით გადასხას ჯარი კუნძულზე, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

**სალონიკი.** პრიზრენიდან მალესიისაკენ გასალაშქრებლად კიდევ წავიდა ექვსი ბატალიონი. ამ ბოლო ხანებში ჰასაშ აჯანყებულებთან შეტაკების დროს ჯარს მოუკლეს ორი აფიცერი, 16 სალდათი, ხოლო დაუჭრეს 19. პრიზრენში ჩამოახრჩვეს იდრის ბეირაბდულას ამხანაგები ყაზიმ-აღა და ყოფილი ქალაქის თავი რუფად-ეფენდი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** რუსეთის საელჩოს მიერ მიღებულ ენერგიულ ზომების წყალობით შეიპყრეს რუსეთის ჯარიდან გამოქცეული ჯარის-კაცი და

# ბიოლოგიური შენიშვნები

V *)

რამდენადაც შესაძლო იყო, ჩვენ განვიხილეთ ოთხ სწავლულთა თეორია პროტოპლაზმის და ბირთვის დებულებაზე; ჩვენ ვსთქვით, რომ ამ ბოლო დროს ყურადღებას იქცევს მხოლოდ ბიუჩლის და ალტმანის თეორია. წარმოვიდგინოთ ეხლა ორთავე ეს თეორია მართალია და საფუძვლიანი. მერმე რა? შეგვიძლია ამ თეორიებით ვთქვათ ბიუჩლინს ნაჩვრეტები და ალტმანის გრანულები ცოცხალი მატერიის უკიდურესი ერთეულია? შეგვიძლია ცხოვრების ძირეული მოვლენანი—აღზრდა, განვითარება, ნივთიერებათა შეცვლა, განმრავლება, მემკვიდრეობა და შეწყობილება გავითვალისწინოთ მარტოკა იმით, რაც ვიცით ნაჩვრეტებზე და გრანულებზე? როგორც აღნიშნული გვქონდა, მეცნიერთ ჯერ ვერ მოუხერხებიათ წარმოსთქვან დაბოლოებითი დასკვნა ნაჩვრეტებზე და გრანულებზე. დავანებოთ თავი ამას და წარმოვიდგინოთ, რომ მათი აზრი დაბოლოვებულია და დასაბუთებული. ეს დასაბუთება და დასკვნა ხომ ხილულს შეეხება, ე. ი. იმას, რასაც თვალი ამჩნევს, მაგრამ ამასთანავე, როგორ ვიცით, ყოველივე ხილულს მოყვება არა ხილულიც და ეს არახილულია მიზეზი, რომელიც გვიმწარებს ფიქრებს და გვაყენებს სასოწარკვეთილებაში. დარვინი, სპენსერი, ჰეკკელი, ნეგელი, ვიზნერი, დეფრიზი, ვეისმანი, ოსკარ გარტვიგი, ფერვორნი და სხვა გვაწვდიან სხვა და სხვა ხელოვნურად შეკაზმულ თეორიებს არა ხილულ მატერიის აგებულებაზე. ყველა ეს ჰიპოტეზები ფრიად საინტერესო, ხანდისხან მომხიბლავიც არიან. შემდეგში ჩვენ არა ერთხელ გვექნება შემთხვევა მოვიხსენიოთ ამ სწავლულთა თეორიები, ეხლა კი გაკვრით შევჩერდეთ მათზე.

„ყოველივე უჯრედი დიდად რთული აგებულებისაა, ის შესდგება მრავალ ქიმიურ სხვა და სხვა ნივთიერებისაგან, ყოველივე ნივთიერება განიყოფება ორ ჯგუფად; ერთია ორგანოვანი, მეორე უორგანო. ორგანოვანი შეადგენს უჯრედის ცოცხალ სხეულს, მას შეუძლია ზრდა, გაყოფით გამრავლება, ის წარმოადგენს ელემენტალურ ნაწილს, ანუ სიცოცხლის მდაბიო ერთეულს, ამ ერთეულიდან იბადება უჯრედი, როგორც უმაღლესი რიგის ერთეული“. ასე გვარწმუნებს ოსკარ გარტვიგი, მას ეთანხმება სხვა მრავალი ბიოლოგი. მაგალითად, ვიზნერი გადაჭრით ამბობს. „უჯრედი შესდგება ცოცხალ მდაბიო რიგის ორგანიზმებისაგან, რომელნიც უნდა ჩაითვალონ სიცოცხლის ნამდვილ ელემენტარულ ორგანოებად“.

მაგრამ რაა ეს სიცოცხლის ელემენტარული ორგანოები? ამის შესახებ სულ სხვა და სხვა აზრი ტრიალებს მეცნიერთა შუა. მაგალითად, დარვინის აზრით ელემენტარული ორგანოები გემულებია, სპენსერით—ფიზიოლოგიური ერთეული, დეფრიზით — პანგენი, ოსკარ გარტვიგით — იდი, ვიზნერით — პლაზომი, ვეისმანით — ბიოფორი, ფერვორნით—ბიოგენი.

დავიწყოთ სპენსერიდან; ბიუჩლის ნაჩვრეტის და ალტმანის გრანულის არსებითი ნაწილს შეადგენს ცილა. ცილის მოლეკულა ქიმიური ერთეულია. თუ ცილა ერთნაირია, გასაკვირია, როგორ შესძლო მისმა სხვა და სხვა ნაწილმა ამოდენა სხვა და სხვა ფორმის ცხოველთა და მცენარეთა შექმნა? როგორც სწავლულნი გვეუბნებიან, ყველა ცხოველები და ცენარეები შექმნილია ცილის ერთგვარ ქიმიურ ერთეულიდან. თუ ეს მართალია, რა მიზეზია, რომ ბუნებაში ამოდენი სხვა და სხვაობაა? აი რას გვეუბნება ამაზე სპენსერი: „ცოცხალ ორგანიზმთა შემადგენელ ელემენტებად უნდა ჩაითვალოს ფიზიოლოგიური და არა მორფოლოგიური ელემენტები. როდესაც ქიმიური ერთეულები უკავშირდებიან ერთი მეორეს ისინი, რასაკვირველია, უფრო რთულდებიან, ვიდრე თვითონ არიან. ცილა შესდგება მჟავბადისაგან, წყალბადისაგან, გოგირდისაგან და აზოტისაგან“. სპენსერის აზრით ამათი ატომები, როდესაც უკავშირდებიან ერთი მეორეს, ადგენენ მოლეკულას. მოლეკულები უერთდებიან ერთი მეორეს, ადგენენ ფიზიოლოგურ ელემენტებს და იშლებიან სპეციალურ ფორმებად ფიზიოლოგიური ერთეულები უკავშირდებიან ერთი მეორეს და ქმნიან მორფოლოგიურ ერთეულებს. „აი ასე უნდა გაჩენილიყოს ბუნებაში ცხოველთა და მცენარეთა მრავალი ფორმა“. ასე გვასწავლის სპენსერი, ნეგელი და გარტვიგი არ უარყოფენ სპენსერის ფიზიოლოგიურ ერთეულებს, იმათ შეხედულებით ქიმიურ ერთეულებს არ შეუძლიათ ფიზიოლოგიურად გარდაქცევა. ამ მიზნისათვის მათ შუა უნდა არსებობდნენ სხვა ერთეულები, მათ ეს ერთეულებიც გამოუნახავთ და დაურქმევიათ სახელად მიცელი.

რაა მიცელი? ნეგელის აზრით, როგორც ატომები უერთდებიან ერთი მეორეს და ქმნიან მოლეკულას, ისე მოლეკულები უერთდებიან ერთი-მეორეს და ქმნიან მიცელის. მიცელი მოლეკულაზე უფრო დიდია. მიცელისაგან ჩნდებიან ცოცხალი ნივთიერების პაწაწა ნაწილები, ანუ იდიობლასტები, ამათგან ყველა მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური განსაკუთრებანი.

ვეისმანის შეხედულებით, როგორც პროტოპლაზმა, ისე ბირთვი შესდგება პაწაწა ელემენტებისაგან, რომელთ ქვიან ბიოფორები. ბიოფორები ერთდებიან დეტერმინანტებად; დეტერმინანტი იდებათ, იდი იდენტად, იდენტი უდრის ბირთვის სეგმენტს, იდი ალტმანის გრანულას, ანუ ბიუჩლის ნაჩვრეტს.

ფერვორნი არ ეთანხმება არც ერთ ზემომოყვანილ სწავლულს და თავის დასამშვიდებლად ისიც თხზავს თავისებურ ჰიპოტეზას. მისი აზრით, ცოცხალი არსება განირჩევა მკვდრისგან, ატომიური კომპლექსი მუდამ იცვლება ქიმიურად, კომპლექსებს უწოდებს სახელათ ბიოგენს და ამტკიცებს, ბიოგენი ცილის მოლეკულააო.

ამ რიგად საქმე ასე გვეჩვენება: სიცოცხლის დასაწყისი ყოფილა კომპლექსი, კომპლექსი შვებს ატომს, ატომი მოლეკულას ანუ ბიოგენს, ბიოგენი მიცელას, მიცელი ბიოფორს, ბიოფორი დეტერმინანტს, დეტერმინანტი იდს, იდი უდრის ალტმანის გრანულას ანუ ბიუჩლის ნაჩვრეტს; ამათგან წარმოსდგება უჯრედი, უჯრედიდან უჯრედები. ასე გვიხატავენ სწავლულნი სიცოცხლის დასაწყისს და მის თანდათანობითი განვითარებას დღევანდელ ფორმამდე. ჩავუკვირდეთ და ვკითხოთ: გვიადვილებენ ყველა ეს ბიოგენები და დეტერმინანტები ბიოლოგიური რომელიმე პრობლემის შეგნებას? გვეუბნებიან რასმეს ცხოვრების რთულ მოვლენაზე—ზრდაზე, გამრავლებაზე, ნივთიერების შეცვლაზე და სხვა? სრულიად არაფერს, გაუგებარი ისე გაუგებრად რჩება.

ჩვენ გვეუბნებიან შეიარაღდით მიკროსკოპით და იმით შეისწავლეთ ნივთიერების აგებულებაო. მივყვებით მათ დარიგებას და ვსწავლობთ ნივთიერებას. მაგრამ როგორ ვსწავლობთ? უბრალო თვალით რამდენად ვადიდებთ, უხილავ საგნებს შესაძლოა, სხვა და სხვა ნაირად ვარღვევთ, ვანაწილებთ მას, ბოლოს და ბოლოს ვრწმუნდებით, რომ მიკროსკოპს მეტი აღარ შეუძლია, ის ველარ ადიდებს ნივთიერების ნაწილს; მან დაგვანახვა მისი სულ პაწაწა მორფოლოგიური ერთეულები, რომელთ დაყოფა მეთი აღარ შეიძლება. აი ეს მორფოლოგიური ელემენტებია საზღვარი, რომელიც ყოფს ხილულ და უხილულ ნივთიერებას. ხილულზე ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვსთქვათ, შეგვიძლია ყოვლის მხრით ავსწონ დავსწონოთ მისი აგებულება და შედგენილება. არახილულზე ჩვენ ამის თქმა არ შეგვიძლიან და ამისათვისაა, რომ ზემოყვანილნი მეცნიერნი მეტაფიზიკურად ოცნებობენ და გაუგებარს გაუგებრად გვიხსნიან, იგონებენ ყოველგვარ ბიოგენებს, ბიობლასტებს, იდებს, იდენტებს და სხვას.

როდესაც ჩვენ ვსჯით მეტაფიზიკურად, რასაკვირველია, ჩვენთვის ხელთსაყრელია ყოველივე ატომი, ბიოგენი, იდი და სხვა. ჩვენთვის საამოა ყოველივე მექანიური შეხედულება ნივთიერებათა აგებულებაზე, მაგრამ ამ დროსვე არ უნდა დავივიწყოთ შესანიშნავი სიტყვები კანტისა: „როდესაც გონება თავის დასაკმაყოფილებლად ობიექტიურ მნიშვნელობით ნათლავს სრულიად სუბიექტიურ წესს, ის იტყუებს თავის თავს“.

**დ. ბ.**

*) იხ. „სახალ. გაზეთი“ N 20.

ჯარის უფროსს გადასცეს. ამ ჯარის კაცზე წინადაცვეთის წეს-რიგი შეასრულეს. მთავრობა რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად შეუდგა თავრიზის პოლიციელების მიერ რუსეთის ქვეშევრდომის ბაბოიანის (ცემის საქმის გარჩევას. ამისათვის წინადადება მისცეს დაპატიმრებული პოლიციელები განთავისუფლონ.

### რ უ ს ე თ ი

**რიდომი.** სოფელ სეკოვსკავოლში ცეცხლმა გაანადგურა 60 მოსახლეობა. ბლომად დაიწვა შინაური საქონელი ცეცხლმა იმსხვერპლა აგრეთვე ერთი ქალი.

**ვილნა.** დაიწვა მალიატის ტყავის ქარხანა. ზარალი 100,000 მანეთს უდრის. ცეცხლისაგან დაზარალდა აგრეთვე სამი მახლობელი ტყავის ქარხანა.

**მოგილევი.** ქალაქის გამგეობამ დაზარალებულთა დასახმარებლად 10,000 მანეთი გადასდო. იგივე შუამდგომლობს მთავრობის წინაშე მისცეს 500,000 მანეთი, რომელსაც იგი სესხის სახით დაურიგებს დაზარალებულთ შენობების ასაგებად.

**პეტერბურგი.** ყიზლიარის ხაზინის გაძარცვის გამო სამსახურიდან გადააყენეს მამასახლისი ვერბიცკი, ესაულ აფერინი, ხორუნჟი ვარიევი, უბნის ზედამხედველი ბერძნიევი და ყველა იმ სოფლის მამასახლისები, რომლებშიაც ყაჩაღ ზელიმხანის რაზმმა გაიარა. პირველი ოთხი სამართალში მისცეს.

**ხარბინი.** გუშინ ღამის პირველის ნახევარ საათზე განიზრახეს ქალაქის კომენდანტის უნტენის მოკვლა. პოლკოვნიკი ფეხში მსუბუქად დაიჭრა. ბოროტგანმზრახველნი მიიმალნენ.

**ოდესა.** საოლქო სასამართლომ გაარჩია კიევის ოლქის რწმუნებულის ნაფიც ვექილის ჩეტირკინის საქმე. მან 1909 წ. მარტში მემკვიდრეობის ნიადაგზე მოკლა თავის 8 წლის ნახევარ—ძმა, მძიმედ დასჭრა დედინაცვალი და შემდეგ თავისმოკვლის განზრახვით ტყვია საფეთქელში მიირტყა. ნაფიცთა სასამართლომ იგი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა.

**სიჩევკა.** იწვის ქალაქი გჟატსკი. ცეცხლი მოდებული აქვს ქალაქის შუაგულში სმოლენსკის და კალუგის ქუჩებს. ძლიერი ქარი ხელს უწყობს მის გაძლიერებას.

**მოსკოვი.** გაიხსნა აფთიაქების პატრონის და ფარმაცევტების კრება ფარმაცევტთა საპენსიო კასის ბედიღბალის გადასაწყვეტად. კრებაში მონაწილეობას იღებს 350 წარმომადგენელი.

**ცარიცინი.** სადგურ ბეკეტოვსკაიასთან დაიწვა ლაპშინის ხე-ტყის საწყობის ნაწილი. ზარალი 250,000 მან. მეტია.

**ტვერი.** ბეჟეცის მაზრის სოფ. სოროკინში გადაიწვა 90 მოსახლეობა.

### ხ ო ლ ე რ ა

**ცარიცინი.** ასტრახანიდან მოსულ გემზე ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა ერთი მეზღვაური. ნაპირზე ავად გახდა ერთი დამტვირთველი.

**სმოლენსკი.** რადგან დნეპრი ძალიან ჩამოწყდა, სმოლენსკსა, ორშისა და დოროგობუჟის შორის გემთა მიმოსვლა შესწყდა.

**ხარკოვი.** საგუბერნიო გამგეობამ სლავიანსკის ქალაქის თავიდან დეპეშა მიიღო, რომ იქ სახოლერო სადგურ ბარვენკოვოში კვლავ ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3 კაცი.

**პეტერბურგი.** ტაგანროგი, ფეოდოსია და ტამბოვის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოაცხადეს. კერჩენიკალეში ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა ერთი კაცი.

**ორიოლი.** ელეცის მაზრის სოფელ ოლშანეცში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 2 კაცი.

**ბორზნა.** პლისკში ხოლერით გარდაიცვალა 1, ავად არის 1 კაცი. ივანგოროდში ავად არის 4.

**მინსკი.** რეჩიცის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 12, გარდაიცვალა 7 კაცი. სლუცკის მაზრაში ავად გახდა 18, გარდაიცვალა 3; მოზირის მაზრაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 4; იგუმენის მაზრაში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 4, პინსკში ავად გახდა 2, ხოლო ბობრუის მაზრაში 1 კაცი.

**ნიკოლაევი.** ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2, ავად არის 2 კაცი.

---

**„სახალხო გაზეთის“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: ლექსები კ. მაყაშვილისა და ხ. ფაშალიშვილისა; ალ. ჯორჯაძის წერილი „ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტერი“. სურათები: ბორის გრინჩენკო, გრიგოლ მაღლაკელიძე, ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი, სიმებიანი ორკესტრი და ხელსაქმის კლასი ამ მონასტრისა.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ქალაქის საბჭო.** 10 ივნისს, საღამოს 9 საათზე, ქალაქის თავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოჰხდა. გამგეობის წევრებთან ერთად იჯდა ორი მოწვეული საპატიო სტუმარი: კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ა. არტემიევი და მოსკოვის უნივერსიტეტის პროფ. ვ. ა. ტიხომიროვი. რადგან ამ საღამოს უნდა განეხილათ საკითხი ქალაქის საელექტრონო სადგურის შესახებ, ამიტომ კრებას დიდძალი გარეშე ხალხი დაესწრო. პირველად კრებამ ფეხზე ადგომითა და ტაშით, თავ. ჩერქეზიშვილის წინადადებით, პატივი სცა საპატიო სტუმრებს. რამდენსამე პატარა მოხსენებათა განხილვისა და დამტკიცების შემდეგ გამგეობის წევრმა ა. ი. ხატისოვმა აუწყა დამსწრეთ მოკლე ისტორია ქალაქის საელექტრონო სადგურისა. ამის შემდეგ პროფ. არტემიევმა გააცნო დამსწრეთ თვის მიერ შედგენილი პროექტი ქალაქის საელექტრონო სადგურისა. პროექტით სადგური 500.000 მანეთი დაჯდება და გაანათებს პირველ ხანებში მხოლოდ სოლოლაკსა, სასახლისა, გოლოვინისა, ოლგასი, მიხეილისა და ვაგზლის ქუჩებს, აგრეთვე ვერის დაღმართს. ქალაქი სადგურზე დახარჯულს ფულს აიღებს სადგურისავე შემოსავლიდან 8 წლის განმავლობაში. კრებამ თანახმად ქალაქის გამგეობის წინადადებისა პროექტი დაამტკიცა და დაადგინა საჭირო თანხა გადაიღოს ქალაქის 3 მილიონიან სესხიდან.

✦ **ცეცხლის მქრობელი რაზმი.** უკანასკნელმა ნიაღვრებმა და ცეცხლმა ნათლად აღმოაჩინა ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსამსახურეთა სიმცირე, აგრეთვე ცეცხლის ჩასაქრობ იარაღის უვარგისობა. ამ გარემოებას აღნიშნავს ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსი და სთხოვს ტფ. პოლიცმეისტერს იშუამდგომლოს ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა მოკლე ხანში შემოღებულ იქმნას ბენზინით ასამოძრავებელი მანქანები ნაცვლად ახლანდელის მანქანებისა, რომელიც ხელით მოჰყავთ მოძრაობაში და ბევრს ხალხსა და შრომას ითხოვს. ასეთი მანქანები, ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსის აზრით, ცეცხლის გასაქრობადაც გამოდგება და ნიაღვრის დროს სარდაფებიდან წყალის ამოსაქცევადაც.

✦ **საყოველთაო სწავლება.** როგორც ვიცით, ბაქოს ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა შემოიღოს საყოველთაო სწავლა. ამის გამო ქალაქის თავი აღგენს მოხსენებას სამინისტროში და სთხოვს მიეცეს ხაზინიდან ყოველ წლივ 60,000 მანეთიდან 110,000 მანეთამდე დახმარება და ერთდროულად 330,000 მან. სკოლების ასაშენებლად განსაკუთრებით შენობის თანხიდან.

✦ **ახალი ჟურნალი.** მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ ისა-ბეკ აშურბეკოვმა შუამდგომლობა აღძრა ბაქოს გრადონაჩალნიკთან ნება დართოს გამოსცეს რუსულ-თათრულ ენაზე ჟურნალი „ნადჟატი“, რომელიც გამოვა თვეში ორჯელ.

✦ **ნიაღვარები ბათომში.** 9 ივნისს, დაახლოვებით დილის 5 საათზე სად. ქობულეთსა და ბათომს შუა გაიარა ძლიერმა ქარიშხალმა კოკის პირულ წვიმით. სად. ქობულეთი და სანერგე ზღვის მხრიდან წყალმა წალეკა. მდინარე ჩურუქსუ გადმოვიდა ნაპირებიდან და სარდაფები წყლით აივსო. მდინარე კინტრიში ადიდდა და ქობულეთიდან 81 ვერსის მანძილზე წალეკა გზა. ღამე ახლად გაკეთებული ხიდის ახლო, მახინჯაურას პლატფორმასთან, სულ გააფუჭა, ხოლო ხიდის ბურჯები იმდენად მოთხარა, რომ ხიდმა ერთი ადგილით დაბლა დაიწია. გზა მთლად ლამითაა დაფარული. ნიაღვარმა დიდი ზარალი მიაყენა აგრეთვე აჭარას.

✦ **მოსწავლის თავის მოკვლა.** ქუთაისის კერძო პროგიმნაზიის მე-3 კლასის 13 წლის მოწაფე ქალმა გადასასვლელ ეგზამენების დროს ცუდი ნიშნის მიღების გამო, კარბოლის სიმჟავე დალია და თავი მოიკლა. ეს უკვე მესამე შემთხვევაა ქუთაისში მოწაფეთა შორის თვით-მკვლელობისა.

✦ **ციხიდან განთავისუფლება.** 9 ივნისს მეტეხის ციხიდან განათავისუფლეს ამას წინად დაპატიმრებულ სახალხო სახლთან არსებულ სამუსიკო საზოგადოების ადმინისტრატორი თედო დოლიძე.

✦ **ჩანგის რედაქტორის საქმე.** ტფილისის სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე ი-დ ლევან დადეშკელიანისა. პალატამ იგი დამნაშავედ იცნო და ერთი თვით ციხე მიუსაჯა.

✦ **ახალი განკარგულება.** ტფ. პოლიცმეისტერმა 11 ივნისს ახალი განკარგულება გამოსცა, რომლის ძალითაც ბავშვებსა და მოსწავლეთ ნება ეძლევათ საღამოს 10 საათამდე დარჩნენ პროექტორებსა და სასეირნო ბაღებში.

✦ **სეირნობა.** ხვალ, 13 ივნისს, სახალხო სახლთან არსებული სამუსიკო საზოგადოება მუშტაიდის ბაღში უფასო სეირნობას მართავს. დასაწყისი დილის 10 საათზე.

✦ **კრებული.** ეკატერინე გაბაშვილს ორმოცი წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად არჩეული საიუბილეო კომიტეტი შეუდგა მის თხზულებათა ბეჭდვას. ხელის მოწერა მიიღება ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ი. ავალიშვილთან. წიგნი ეღირება 1 მან.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა.** 10 ივნისს ქალაქის მეშვიდეუბნის ბოქაულმა შეიპყრო ყაზახის მაზრის მცხოვრები კევორქ მიკირტუმოვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **სამართალში მიცემა.** ტფ. საგუბერნიო სამართველოს დადგენილებით, სამართალში იქმნა მიცემულ ტფ. პოლიციის ყოფილი ზედამხედველი ვასილ ბეგოიძე სუმბათ გეორგაჯიანისთვის მოქმედებით შეურაცხყოფის მიყენებისთვის.

✦ **ჯარიმა.** ტფ. გუბერნატორმა 50 მან. დააჯარიმა ტფ. მცხოვრები გიორგი მესხიშვილი, რომელსაც ეზოში ფარული გასასვლელი ჰქონდა. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, 2 კვირით დააპატიმრებენ.

✦ 10 ივნისს, საღამოს 7 საათზე ტფ. მოქალაქე სერგეი სტეფანოს-ძე სოკოლოვსკიმ, რომელიც დორონოვის მაღაზიაში ნოქრად იყო, თავის მოკვლის განზრახვით კარბოლის სიმჟავე დალია, მაწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც ერთის საათის შემდეგ გარდაიცვალა, თავის მოკვლის მიზეზი გამოურკვეველია.

✦ 10 ივნისს ზოოლოგიამ ქალაქის მესამე უბანში შეიპყრო 7 მათხოვარი. ამავე დღეს შეპყრობილ იქმნენ უპასპორტონი: მეხუთე საპოლიციო უბანში 16 კაცი, მეთორმეტეში-5 და მერვეში-14.

✦ 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე ბირიუზის ნომრებში მცხოვრებ დარია იუხნენკოს ოთხი წლის ბავშვი თამარი აივანის მოაჯირზე აცოცდა და მეორე სართულიდან ძირს ჩამოვარდა. ბავშვს თავი გაუტყდა და რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

✦ ფოთის ნავთსადგურის ახლო ბანაობის დროს დაიხრჩნენ დიდი ბრიტანიის ქვეშევრდომი, ინგლისის გემის „შაირას“ კაპიტანის თანაშემწე ვილიამ ევანსი და მექანიკოსი იმავე გემისა ატკ სმიტი. დამხრჩვალთა გვამები გემის ადმინისტრაციამ გამოიტანა ზღვიდან და დაასაფლავა.

✦ ქუთაისის მაზ. სოფ. კვიტირში დილით მეზობლებმა იპოვეს გვამი სალომე იობაძისა, რომელსაც გედლდზე მიდგმულ კიბეზე ჩამოეხრჩო თავი. იგი ხნიანი ადამიანი იყო და ძალიან წყნარად ატარებდა თურმე ცხოვრებას. ამიტომაც იმისმა სიკვდილმა ყველა ძალიან გააკვირვა.

✦ 10 ივნისს, საღამოს 9 საათზე მორიგმა პოლიციელმა კათოლიკეთა ქუჩაზე ერთი კვირის ბავშვი იპოვა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაიგზავნა.

---

### კიდევ სოფლის მასწავლებელთა შესახებ

სოფლის მასწავლებლების შესახებ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ძლიერ მოუხშირეს წერა. სწერენ მის უენერგიობა-უილაჯობაზე, მის გაჭირვებულ მდგომარეობაზე. ზოგიერთნი, ცოტა არ იყვეს, სოფლის მასწავლებლებს ამართლებენ და გაიძახიან: მასზე არავინ ფიქრობს, მის მდგომარეობაში არავინ შედის, ეს საზოგადო მოღვაწე სიტიტვლით საზოგადოებაში ვერ გამოსულაო და სხვა. ასეთი აზრები, მეტი რომ არა ვსთქვა, ახირებულად მიმაჩნია. უპირველეს ყოვლისა, ვინ უნდა იზრუნოს მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, თუ არა თვითონვე მასწავლებლებმა. ვინ უნდა ითაოს დაარსოს ყოველ-წლიური საპედაგოგიო კურსები, ბიბლიოთეკები, მოაწყოს ექსკურსიები ჩვენი ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ სამშობლოს გასაცნობად, თუ არა იგივე მასწავლებლებმა. დიახ ყველა ამაზე ზრუნვა უფრო მეტად მასწავლებლების საქმეა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ყველა მასწავლებელი ამას ყურადღებას არ აქცევს. ზოგს სრულიად არა აქვს განვითარებული საკუთარი თაოსნობა. სოფელში სცხოვრობს, ხან და ხან მარტოდმარტოდ ისაა ინტელიგენტი—და იმის მაგიერ, რომ ყველა კეთილ საქმის დამწყობი და თაოსანი თითონ იყოს, სხვას შეჰყურებს, სხვისაგან ელის ინიციატივას. ბიბლიოთეკებს გლეხები დაარსებენ, ხოლო ყოველ-წლიურ კურსებს სამოსწავლო მთავრობა და ექსკურსიების მოწყობას კი ვიღაც მდლიანი კაცი ითავებს. ფიქრობენ უჩვეოდ ნოთაც გაკეთდება ყველაფერიო. მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვასაც სხვისგან ელიან. დიდი შეცდომაა და გულუბრყვილობა—იმედებით კვება, მეტადრე ჩვენს დროში. სხვა გააკეთებს საქმეს, სხვა იზრუნავს, იმის ნაცვლად, რომ თითონ დაინტერესებულმა მასწავლებელმა მოჰკიდოს საქმეს ხელი, და საკუთარის, თუნდაც სუსტის ხელით შეუდგეს მუშაობას. მაგრამ საზოგადო დაქსაქსულობის დროს, მასწავლებლებიც დაიქსაქსნენ — ერთი მეორეს აღარ უდგება, მხარს არ აძლევს, ზოგი ალთას გარბის და ზოგი ბალთას. შეერთების ნაცვლად ისინი ერთმანეთს ექიშპებიან და ამ ქიშპობით მასწავლებელთა მდგომარეობის გაუკეთესობას ხელს უწყობენ. ვიწრო პირადმა ინტერესებმა ყველგან პირველი ადგილი დაიჭირა და მასწავლებლებში ეს საგრძნობელია. თუ არა პირადი ანგარიშების გამო არ ერიდებიან დაბეზღებაც კი. ფაქტები ბევრი მაქვს, მაგრამ საშინელებაა ამაზე ლაპარაკიც კი. დიახ, მაგზელარა მასწავლებელს სურს უფროსობის ყურადღება დაიმსახუროს და თვალში ამოღებულ მასწავლებლის ალაგზე თვითონ წამოსკუპდეს. ყველა ეს იმითაც აიხსნება, ზოგიერთი მასწავლებელი წვრილმანობაშია ჩაბმული, საზოგადოებრივ ცხოვრებას თვალს არ ადევნებს. მაგრამ ეს კიდევ რა, სპეციალური საპედაგოგიო ჟურნალსაც კი არ ადევნებენ თვალყურს. ერთად ერთი საპედაგოგიო ჟურნალი „განათლება“ გამოდის და მთელ ქვემო იმერეთში ორი მასწავლებელი არ მოიპოვება, რომ კითხულობდეს ამ სიმპატიურ ჟურნალს, მეტსაც ვიტყვი, სამი ადამიანი არ იქნება, რომ იცოდეს ამ ჟურნალის არსებობა. აქ ის კი არ იფიქროთ, ვითომ „განათლების“ რედაქციას არ მიეღოს ყოველი ღონის-ძიება, ყოველი საშუალება, რომ თავის ჟურნალის ქვეშ შემოეკრიბა სოფლის მასწავლებლები. პირიქით ბევრიც ეცადნენ, მაგრამ ისეთ გულგრილობას იჩენდა სოფლის მასწავლებლები, რომ „განათლების“ რედაქცია ვერაფერს გახდა მათში.

მეტი უნუგეშო მომავალი წარმოგვიდგება თვალში, როდესაც ზოგიერთა მასწავლებელს შეჰყურებ. არაფერი გონიერული და კულტურული არ აინტერესებთ. ერთ დონეზე დგანან, მათი გონებრივი სალარო არა მდიდრდება ახალ-ახალ ცოდნით. მეტი სიყვარული საქმისადმი და გამჭრიახობა რომ ჰქონდეთ—უნუგეშობას ადგილი აღარ ექნებოდა.

**ჰქილეხი.**

---

### ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების კრება

10 ივნისს დაიწყო კრება იმ საზოგადოებისა, რომელიც ტფილისის ქართულ გიმნაზიას ინახავს. თავმჯდომარეობდა საზოგადოების გამგე კომიტეტის თავმჯდომარე თ. პ. ი. თუმანიშვილი. კრება საინტერესო იყო, შედარებით სერიოზული ხასიათი ჰქონდა.

გასულ წლის კრებაზე საზოგადოებამ ამოირჩია სარევიზიო კომისია, რომელსაც უნდა გაეცნო, თუ რა მდგომარეობაშია სამეურნეო ნაწილი, სწავლა-აღზრდის საქმე და სხვა. ამ კრებისათვის კომისიამ წარმოადგინა თავისი შენიშვნები—მუხლ-მუხლად. კრების ყურადღება მიიქცია კომისიის შენიშვნების იმ ადგილმა, რომელიც სწავლა-აღზრდის საქმეს ეხება. მაგრამ კამათი სხვა მუხლებმაც გამოიწვია. მოხსენებაში ნათქვამია—საპედაგოგიო საბჭოს ოქმები მეტად მოკლედ იწერება, რეზოლიუციის ხასიათი აქვთ ოქმებს. კომისიის წევრმაც განაცხადა, რომ დიდ ხანს ვერ დავყოფდით სკოლაში სარევიზიოდ და რომ ნათელი წარმოდგენა გვქონოდა სწავლა-აღზრდის საქმეზე—უნდა ოქმებს გავცნობოდით, მაგრამ მეტად მოკლედ არის აღნიშნული საპედაგოგიო საბჭოს სხდომის ანგარიშიო. ამაზე გიმნაზიის გამგემ განმარტება მისცა, რომ საქმე ოქმების წერა კი არაა, ნამდვილ ცოცხალი საქმის წარმოებააო. მოიყვანა პეტერბურგის ერთ საშუალო სასწავლებლის მაგალითი. ეს სასწავლებელი პირველია სწავლა-აღზრდის საქმის სამაგალითოდ დაყენებაში, მაგრამ ოქმების შედგენას იქ ყურადღებას არ აქცევენო. უფრო ცხარე კამათი გამოიწვია შენიშვნამ გიმნაზიის ექიმზე. სარევიზიო კომისიის წევრები აღნიშნავდნენ, რომ არა სჩანს ექიმის მუშაობა, კრებამ დაავალებით, ექიმს მონაწილეობა უნდა მიეღო საპედაგოგიო საბჭოს სხდომებში, იმას კი ეს არ შეუსრულებია და სხვ. გიმნაზიის გამგემ აღნიშნა, რომ 1908 წელში ექიმი ავად გახდა, თითქმის ექვს თვეს იყო ავად და ესაა მიზეზი, რომ ვერ შეასრულა, რაც შეეძლო გაეკეთებინაო. ხოლო ეხლა კი კეთილ-სინიდისიერად ეპყრობა თავის მოვალეობას და მეტის გაკეთება იმ პირობებში, რომელშიაც გიმნაზიაა ჩაყენებული, ყოვლად შეუძლებელი იყოო. გამგემ წინადადება მისაც კრებაზე დამსწრე ექიმებს, დაეხმარონ თავის ამხანაგს, შეადგინონ პროგრამმა თუ როგორ უნდა დაიცვან მოწაფეთა ჯანმრთელობა და სხ. ექიმებმა გედევანიმ, მაღალაშვილმა და სხვ. აღუთქვეს დახმარება.

წაიკითხეს კომისიის შენიშვნა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების შესახებ. თურმე ამ საგნებს არ ასწავლიან. გიმნაზიის გამგემ განაცხადა, რომ საპედაგოგიო საბჭოს არსებითად საწინააღმდეგო არაფერი აქვს ამ საგნების შესახებ, პირიქით მოწადინებულია კიდეც შემოიღოს სწავლება, მაგრამ დრო არ არისო. კრებაზე ამ შენიშვნამ დიდი კამათი გამოიწვია. თავ. ვაჩნაძემ, ანდრონიკაშვილმა და სხვ. განაცხადეს, რომ ეს სასწავლებელი იმ მიზნითაა დაარსებული, რომ სამშობლო ლიტერატურისა, ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლას პირველი ადგილი ჰქონოდა დათმობილი — ეხლა კი თვით გამგის პირით გვესმის, რომ ამ საგნების სწავლება შეუძლებელი ყოფილა. თუ ასეაო, სთქვა ვაჩნაძემ, უმჯობესია შეიცვალოს ტიპი სასწავლებლისა, ოღონდ პირვანდელ მიზანს ნუ ასცილდება სასწავლებელი და სამშობლოს შესწავლას მხარს ნუ აუქცევსო.

გიმნაზიის გამგემ კრებას გადასცა, რომ სამინისტროში მითხრეს, თუ გსურთ, შეგიძლიანთ სამშობლო ენაზე მოაწყოთ ყველა საგნების სწავლება, მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლება, სავალდებულო იქნებაო.

**ვ. რცხილაძემ.** ილაპარაკა და სთქვა, რომ გიმნაზია ერთობ დატვირთულია, ბევრი საგნები აქვს შესასწავლი და საქართველოს ისტორიის სწავლებაც რომ დავაკისროთ მაშინ ვერაფერს ვერ მოასწრობს. ჩვენ გვინდა ეს სასწავლებელი ეროვნულ სასწავლებლად ჩავთვალოთ ეს კი შეუძლებელია. გიმნაზიისათვის სავალდებულოა პროგრამა გაიარონ—რომ უმაღლეს სასწავლებელში შევიდენ მოწაფენიო. ამ საგანზე დიდხანს იკამათეს—სურვილი გამოითქვა, როგორმე შემოიღონ სამშობლო ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება, ამის შემდეგ კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის შენიშვნა სწავლის ფულის შემოუტანლობისა გამო მოწაფეთა დათხოვნაზე. ან. ფურცელაძემ ცხარე სიტყვა წარმოსთქვა ამის შესახებ მოწაფეთა დათხოვნა სწავლის ფულის შემოუტანლობისა გამო მეტად სასტიკი ზომაა—და რაც უფრო სამწუხაროა—ეს ზომა ღარიბთა წინააღმდეგ არის მიმართული. არ დავივიწყდეთო, სთქვა ფურცელაძემ, რომ ამ სასწავლებლიდან დათხოვნილი გზაკვალი ებნევათ სხვა სასწავლებელში ვერ შევა და ასე ნახევარ გზაზე რჩება გაუბედურებულიო სწავლის ფული ნაკლები უნდა იყოს, გიმნაზიას საკუთარი ფონდი უნდა ჰქონდეს და არ შემთხვევითი შემოსავალი, და ყოველ შემთხვევაში გიმნაზია ღარიბ მშობელთა კისერს არ უნდა დავაყრდნოთო. ფურცელაძეს სხვებმაც მხარი დაუჭირეს. უკვე გვიან იყო, კრება შესწყდა და 11 ივნისისათვის დაინიშნა.

---

### დავიწყებული მოვალეობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

მალე ათი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ცნობილი პუბლიცისტ-ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ნანეიშვილი (მწერლობაში ნალი). მისმა სიკვდილმა ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ის ცნობილი იყო როგორც მთუდგომელი მოქალაქე, მოუსყიდველი მწერალი, დიდად მუყაითი და ბეჯითი აღმასრულებელი ნაკისრი ვალდებულისა. გვეგონა, რომ მას ღირსეულად დააფასებდენ, მას სამსახურს გაიხსენებდენ, მაგრამ მოვსტყუვდით. გავა ხანი და ჩვენ მისი საუკუნო განსასვენებელსაც ველარ მივაგნებთ. ის მსახურებდა ქუთ. სათავ. აზნ. ბანკში, სული დალია ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს კანტორაში ემსახურებოდა საზოგადოებას, მსახურებდა ტფილისის სათ.—აზ. ბანკში, იყო ხელმძღვანელი თანამშრომელი გაზ. „ივერიისა“. და ნუ თუ არც ერთი არც მეორე და არც მესამე არ გაიხსენებს და უბრალო ქვას არ დაადებს მის მაშვრალ ცხედარს. არ მგონია ეს ასე მოხდეს — ყველამ რომ დაივიწყოს, მას არ დაივიწყებს ჭიათ. შავ. ქ. მრეწველთა საბჭო და სწორეთაც ყველაზე მეტად ამ უკანასკნელს მოეთხოვება მისი ერთგული მოსამსახურის პატივსაცემლად გადადოს ხუთასიოდე მანეთი.

ა.

---

## მოწერილი ამბავი

**ს. ახალქალაქი** (გორის მაზრა). ახალქალაქის მცხოვრებნი ამ ზაფხულსაც მოლოდინში არიან, რომ უცხო პირნი საგარაკოთ მოვლენ. წარსულ წელს ზაფხულს გასართობათ ჰქონდათ მხოლოდ დოტოს თამაში. სხვა ფრივ გართობას ვერა ნახავდით, გარდა ორი

წარმომადგენისა, რომელიც გამართეს ტფილისიდან მოსულმა მსახიობებმა. როგორც სჩანს, ამ ზაფხულსაც უკვე იწყება ლოტოს თამაში. ეხლა რამდენიმე პირს აქვს სჯა-ბასი იმაზე, თუ როგორ მოაწყონ წარმოდგენების საქმე, მაგრამ საუბედუროთ თითქმის ვერ ხერხდება, რადგანაც აქაური ინტელიგენცია მხარს არ უჭერს მაგალითად ქნ. ან. კაპანაძის წინათ ძალიან თავგამოდებული, მშრომელი და გამამხნევებელი სხვათა მონაწილე პირთა, ეხლა სრულიად ცივ უარზედ არისრას მივაწერთ ესე გულციობა არ ვიცით, წინა წლებში კი ქ-ნ. ან. კაპანაძისა დიდ მხნეობას იჩენდა. ვუსურვებ ქ-ნ კაპანაძისას, კვლავ განაგრძოს ჩვეულებრივი ენერგიული მუშაობა. ბოქაული ვაშაძის თაოსნობით რამდენი ხანია აშენეს რატონდო წარმოდგენებების გასამართავათ, მაგრამ სარგებლობა არაფერი მოაქვს, რადგან ვაშაძე აქ ადარა მსახურობს და ინტელიგენციაც ყურ მიგდებულია.

სოფელ ახალქალაქში და მის გარშემო სოფლებში სამჯერ მოვიდა მსხვილი სეტყვა რომელმაც ხეხილს ვაზს დიდი ზარალი მიაყენა პურის მოსავალს ცოტა კარგი პირი უჩანს წვიმები ხშირათ მოდის. **ერგოტან.**

—

**ქ. თელავი.** ჩვენი ქალიშვილების სწავლა-აღზრდის საქმე თელავში, სხვებთან შედარებით უზრუნველყოფილია. აქ არსებობს ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელი პროგიმნაზიის უფლებით, სადაც მოსწავლე ქალები მეხუთე კლასამდე სწავლობენ და შემდეგ უეგზამენოთ ;კადადიან ტფილისის საშუალო სასწავლებლებში. მართალია, ბევრი უსახსრობის გამო იძულებულია სწავლის კარებელებას თავი დაანებოს, მაგრამ ესენიც თავიანთი ცოდნის დაგვარად იკვლევენ ცხოვრების გზას. ყველა უნდა ცდილობდეს ამ სასწავლებლის წარმატებაზე, ბევრს აბუჩად აგდია და ცდილობს მის სახელის გატეხას. რასაკვირველია თვით სასწავლებლის მავნებლობაზე შეუძლებელია ლაპარაკი და ამიტომ მიზნად მასწავლებელთა ქალთა კორპორაცია ამოუდიათ სახეში, ერევიან მათ კერძო ცხოვრებაში და აი, თითქმის წელიწადია ავრცელებენ ამათ შესახებ უოგვლოსავე ჭორებს და სრულიად დაუმსახურებელ სხვა და სხვა ცილსა სწამებენ. ეს კიდევ არაფერი, როგორც პროვინცია, ჭორებს ცოტა შეჩვეულნი გახლავართ და მაგდენ ყურადღებას აღარავინ აქცევდა, მაგრამ ახლა „მათრახი და სალამური"-ს ფურცლებზე გამოილაშქრეს და მოურიდებლად, ხაზგასმით ჭორებს ავრცელებენ. ეჭვი არაა, გაზეთი შეცდომაში შეჰყავთ ადგილობრივ გაჭბატონებს და საუბედუროდ „მათრახი და სალამური"-ს რედაქციაც, როგორც სჩანს, უჯერებს მათ და სიამოვნებით ათავსებს წერილებს „თელავის დეპეშების" სახელით— **ჭორებსა და ცილის-წამებას** ავრცელებს.

რა მიზანი აქვთ გაზეთის თელავურ თანამშრომლებს, არ ვიცით, მხოლოთ ის-კი აშკარაა, რომ ამან უკვე ნაყოფი გამოიღო და რამდენიმე შრომის მოყვარე და სასარგებლო მასწავლებელი, ყველა ამ ცილის წამების შემდეგ იძულებულნი არიან სასწავლებელს თავი დაანებონ.

ამას გარდა; გაზემენების დროს დაიწყეს ლაპარაკი, რომ მეცადინეობა ძალიან კოჭლობს, რასაც შედეგად ვითომ ის მოჰყვა, რომ ყველა კლასში ნახევარზე მეტი მოსწავლეთა რიცხვი დარჩა და მესამე კლასიდამ ხომ, არც ერთი მოსწავლე არ გადაიყვანეს ამ არა მკითხე რევიზორებმა. თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს ხმებიც სიმართლეს, ეს ნათლადა სჩანს წინა წლების ანგარიშებიდამ, რომლებიც განგებ გადათვალიერების შემდეგ შევადარე წლევანდელ დარჩენილთა და გადაყვანილთა რიცხვს და იმათ საგალალოდ სულ წინააღმდეგი აღმოჩნდა. პროცენტებით რომ ვიანგარიშოთ წელს **ნაკლები % დარჩენილა** წინანდელ წლებთან შედარებით. უბად აღებულ მესამე კლასიდამ 36 მოწაფიდამ დარჩა მხოლოდ 12 ამათშიაც 3 მოსწავლე მშობლების თხოვნით დაანარჩუნეს ავადმყოფობის გამო. თუ ვისაც განმეორებითი ეგზამენია აქვს დანიშნული, რომელთაგანაც ნახევარი მაინც უეჭველად გადავა, მაშინ ხომ შემდეგ კლასებში გადაყვანილთა რიცხვის % ბევრით გადიდდება.

ამის შემდეგ, თუ რამდენად სამართლიანია ამ სასწავლებელზე და მასწავლებლებზე გავრცელებული ჭორები და რამდენად შეეფერება იგი სინამდვილეს ეს მკითხველმა განსაჯოს.

**დაბიწყებული.**

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო თეატრი.** ხუთშაბათს, 10 ივნისს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ქართულ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს რამიშვილის ოთხ მოქმედებიანი დრამა „მეზობლები". წარმოდგენამ უსიცოცხლოდ ჩაიარა. რალაც ცივი წყალი გადასხმოდა ამ საღამოს ყველას. ყველანი რალაც უგულოდ, ძალდატანებით თამაშობდნენ, რის გამოც, რასაკვირველია, მსმენელის გული ვერ მოინადირეს. ირაკლი მარშანიძის დის ტასოს როლს ასრულებდა ქ-ნი ანკარა; მაგრამ მან ვერ გადმოგვცა ტასოს მაჯის ცემა, ძლიერი სული, პატიოსანი გული, რომელმაც უარყო ფუფუნება, უარყო ინჟინერ გელოვანძეზე გათხოვებაც და მიაშურა ღარიბ, მაგრამ ზნეობით მდიდარ მენაბდიშვილების ოჯახს. ვგონებ, მის ალაგას თვითონ ტასო ისეთი აპატიით არ მოეპყრობოდა ყველას და ყველაფერს, როგორც ქ-ნი ანკარა. ხშირად როლიც ავიწყდებოდა და შესაბრალის მდგომარეობაში ვარდებოდა. სუსტი იყო ა. იმედაშვილიც (მენაბდიშვილი). არაუშავდა რა დასნეულებულს, მოკლულის შვილის მუდამ მომტირალს, აპატიით მოცულს მაიას (ქ-ნი ნებიერიძე). კარგი იყო ნ. გოცირიძე გადაქართველებულ რუსის გრუშნევსკის როლში. უფრო კარგს იზამდა, რომ ისე წმინდად არ ელაპარაკნა ქართულად. მან ბევრი აცინა საზოგადოება. დანარჩენნი ყველანი სუსტობდნენ. აპატია, როლის უცოდინარობა და ნამეტნავად დაბლა ლაპარაკი შეადგენდა წარმოდგენის უმთავრეს დეფექტს. ხალხი ნაკლებად დაესწრო. **ს—გ.**

# რუსეთი

✦ **ჟანდარმთა პოლკოვნიკის ვონსიაცკის მოკვლა.** როგორც დეპეშებიდანაც ვიცით, ამ დღეებში რადომში თავის კაბინეთში მოკლეს რადომის საგუბერნიო ჟანდარმთა მართველობის უფროსი პოლკოვნიკი ვონსიაცკი. მკვლელი მისივე აგენტია. იგი ვონსიაცკის პოლიტიკურ შეთქმულებათა აღმოჩენაში ეხმარებოდა. მკვლელმა და ერთმა მისმა ამხანაგმა, იქვე თავი მოიკლეს. პოლკოვნიკი ვონსიაცკი რადომში ეხლა ხანს დაბრუნდა ვარშავიდან, სადაც იგი სოციალისტ-რევოლიუციონერების 1905-6 წლ. რადომის ორგანიზაციის საქმის გარჩევას დაესწრო. ამ საქმის გამო 20 კაცს მიუსაჯეს კატორგა.

✦ **გზათა მინისტრის ამხანაგის მოკვლის განზრახვა.** როგორც კრასნოიარსკიდან რუსულ გაზეთებსატყობინებენ, 5 მაისს ღამე, როცა მატარებელი დაიძრა, რომლითაც გზათა მინისტრის ამხანაგი დუმიტრაშკო მიდიოდა, ვიღაცეებმა ვაგონში დუმიტრაშკოს ორჯელ ესროლეს რევოლვერი, მაგრამ ააცდინეს. მსროლელნი მიიმალნენ.

✦ **რამდენი ხალხი მოკვდა და დაშავდა ციმბირის რკინის გზაზე 1909 წ.** ირკუტსკის ერთ გაზეთს მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი მოკვდა და დაშავდა 1909 წელს ციმბირის რკინის გზაზე. მისი სიტყვით ერთი წლის განმავლობაში ამ გზაზე მატარებელს გაუჭყლეტია და დაუშავებია 1,100 კაცი. ამათგან რკინის გზაზე მოსამსახურე ყოფილა 778, მათგან 19 მომკვდარა. დაშავებულა 96, ხოლო მომკვდარა 50 მგზავრი, შემთხვევით დაშავებულა 90, მომკვდარა 70 კაცი, სულ 1,100 კაცი. საგულისხმიერო ციფრებია!

✦ **ბავშვებს რყვნიან ზნეობრივად.** პოლონელებისა და ებრაელების წინააღმდეგ რუსეთში ამ ჟამად ძლიერ ამხედრდნენ შავ-რაზმელები. მათი ზნეობრივად გათახსირება იქამდის მივიდა, რომ პატარა ბავშვებსაც კი უჩინებენ და „არწმუნებენ"—პოლონელები და ებრაელები ჩვენი მტრები არიანო. პოლონეთში ქალაქ კრემენცში ერთ ეპისკოპოსს შემდეგი სიტყვები მიუმართავს სამრევლო სკოლის მოსწავლეებისთვის: პოლონელებს და ებრაელებს ჩვენ ვეჯავრებით, ამიტომ ჩვენც უნდა გვეჯავრებოდეს იგინი, ჩვენც უნდა გდევნიდეთ მათ. მათ უნდათ ჩვენი სამშობლოც და ჩვენც ხელთ გვიგდონ. არა, რუსეთი ჩვენია და ჩვენ უნდა დავიმარხოთ იგიო. დასასრულ, ეპისკოპოსმა მოაგონა ბავშვებს—გახსოვდეთ, რაც ებრაელებსა და პოლონელებზე გითხარითო.

✦ **ცილის წამება.** წარსულ აპრილს სარატოვის სამხედრო სასამართლომ ციხე და დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნა მიუსაჯა რვა სალდათს, რომელთაც ტროსტიანცში დემონსტრაციაში მონაწილეობა ბრალდებოდათ. განაჩენის გამოცხადების შემდეგ მოწმემ უფროსმა დარაჯმა შჩეტინინმა უთხრა ბატიმრების დამცველებს: რა მოსამართლეები არიან! უდანაშაულოებს სჯიან. მე მათ ტყუილად დავწამე ცილიო. ეს ბრალდებულთა დამცველს შეატყობინეს. მან თავის მხრით სასამართლოს წერილებს გადასცა ეს. 31 მაისს სასამართლოს განაჩენი გააუქმეს და ციხეს თავი დააღწიეს უდანაშაულო ადამიანებმა.

✦ **თვითმკვლელობა პეტერბურგში.** მაისის განმავლობაში პეტერბურგში თავი მოიკლა 129 კაცმა და ქალმა, თავის მოკვლა განიზრახა 94 კაცმა.

✦ **ფულის გაფლანგვა.** კიევის ხაზინის რევიზიამ დაამთავრეს. აღმოჩნდა, რომ 56,400 მანეთი გაუფლანგავს ჩერნიახოვსკის, რომელმაც თავი მოიკლა.

✦ **სასაცილო ამბავი.** „რუსკოე სლოვო" შემდეგ სასაცილო ამბავს გადმოგვცემს: ჩერნიგოვის გუბერნიის სოფელ გაზუკში ერთ გლეხის ქალს ასაფლავებდნენ. როდესაც კუბო საფლავში ჩაუშვეს, მახლობელ სოფლიდან მოწვეულმა მღვდელმა უცებ იკითხა: თქვენ საით გაქვთ აღმოსავლეთი? აი ჩვენი აღმოსავლეთი, უჩვენა ხელით ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.— რას ამბობ, რას, გაცხარდა მღვდელი, ჩვენ სოფელში აღმოსავლეთი აი აქეთკენა გვაქვს, ეგ დასავლეთია. დიდი ჭირვეულობის შემდეგ მღვდელმა უბრძანა ჩაეშვათ საფლავში, როგორც ის უჩვენებდა, მაგრამ ახლა ადმინისტრაციის წარმომადგენელი გაჯიუტდა— რას ამბობთ, მამაო, თავი აღმოსავლეთისკენ ვუყოთ? ჩვენ თავს სულ დასავლეთისკენ ვუშვრებით ხოლმე მიცვალებულთ. ეგრე რომ დავმარხოთ ხომ ერთი უბედურობა მოხდა, მეორედ მოსვლის დროს, როცა დაჰკრავს საყვირი და მკვდრები ადგებიან, ჩვენები აღმოსავლეთისკენ გაექანებიან, თქვენები კიდევ დასავლეთისკენ და ერთმანეთს დაეჯახებიან და ხომ თავპირი დაიმტვრიეს. მაგრამ მღვდელი თავისაზე იდგა და ისე დაასაფლავებინა, როგორც თვითონა სურდა. მეორე დღეს ეკლესიის მნათე გადათეთრებული დარბოდა სოფელში და ყველას უამბობდა: წუხელი ფეხიდან კუშინდელმა მკვდარმა გადმომითრია და მითხრა—არა გცხვენიათ, იმდენი ხათრი არა გქონდათ რომ სწორე დაგემარხნეთო? მოიწვიეს მაშინვე მღვდელი, და მკვდარი საფლავიდან ამოიღეს. ცუდი დღე დაადგებოდა ხუცესს, თუ ნება არ დაერთო დაემარხნათ ისე, როგორც თვითონ სურდათ.

✦ **როგორ ექცევიან გადასახლებულებს პოლიციელები.** პენზის მხრიდან ატყობინებენ რუსულ გაზეთებს: 11 მაისს უსტ-ცილმში უმიზეზოდ შეიპყრეს 14 გადმოსახლებული და დარაჯთა ყაზარმაში გაგზავნეს, რათა იქიდან სოფ. ბუკაევოში გაეგზავნათ. დაპატიმრებულთა შორის იყო ერთი წუხარი, პატიოსანი ადამიანი ზახაროვი, ხელობით მხატვარი. იგი შეუძლოთ გრძნობდა თავს და სთხოვა დარაჯებს ეჩვენებინათ მისთვის უფროსი, ან ექიმთან წაეყვანათ. მას ყურადღება არ მიაქციეს. ეტაპის გაგზავნის დროს მან უარი განაცხადა წასვლაზე. მაშინ იგი ყაზარმიდან ხელით გამოიყვანეს. აქ პოლიციელებიდან გამოვარდა ერთი ყაზახი და დაიყვირა:—რადას ელით? ამასთან სწვდა ზახაროვს თმაში და უღვთოდ დაუწყო ცემა. ზახაროვის ამხანაგებმა პროტესტი განაცხადეს ამის წინააღმდეგ, მაგრამ მათაც ერთი ორი მიუთვაზეს და ისე გაგზავნეს. ორი დღის შემდეგ დარაჯებმა უკან მოიტანეს ზახაროვის გვამი; ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გადმოსახლებულთა შორის. იგი დიდის ამბით დაასაფლავეს. პოლიციამ ზოგ ზოგ გვირგვინს ლენტი მოხსნა.

✦ **დეპუტატების დაჯარიმება.** სახელმწიფო სათათბიროს პრეზიდიუმს კრებაზე უპატივსადებო მიზეზით დაუსწრებლობისა გამო 15 დეპუტატი 1,675 მანეთით დაუჯარიმებია.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** ვარშავაში, ჟირარდოვში და გროდინსკში პოლიციას მოუხდენია მასიური ჩხრეკა და 150 კაცზე მეტი დაუპატიმრებია.

✦ **პირველად დაწყებით სკოლებში მასწავლებლებად უნტერ-ოფიცრებსა ნიშნავენ.** სახალხო განათლების სამინისტროსთან შესდგა კომისია, რომელსაც უნდა განიხილოს განთხზრობულება პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებელთა მომზადების შესახებ. ამ კანონპროექტით განზრახულია დაარსონ ორი წლის კურსები, რომელზედაც განსაკუთრებით უფლიდი უნტერ ოფიცრები იწვევიან. კურსები უნდა გაიხსნას უეჭველად იმ ქალაქებში, სადაც საოლქო და საკორპუსო შტაბებია, რადგან მასწავლებლებად მხოლოდ გენერალურ შტაბის ოფიცრები უნდა იყვნენ. ამ კურსების დაარსების შემდეგ განზრახულია სამასწავლებლო სემინარიები თან და თან დახურონ.

# წერილი რედ. მიმართ

„სახალხო გაზეთი"-ს მე-9 ნომერში მოთავსებული იყო ხარაგაულიდან ჩემი წერილი, რომლითაც ვიწვევდი სამედიატორო სამართალში ბ-ნ „გლადიატორს" იმ პროვოკაციის გამო, რომელიც მან ჩემს შესახებ „ჩვენი გაზეთი"-ს მე-22 ნომერში მოთავსებულ წერილით ჩაიდინა, ამის შესახებ მოუთავსებია წერილი „ჩვენი გაზეთი"-ს მე-47 ნომერში და, ლანძღვა გინების შემდეგ, სურვილს აცხადებს გამომყვეს სამედიატორო სამართალში, მხოლოდ მთხოვს გავაგებინო რაში გამოიხატება მისგან ჭორების გავრცელება, მოვახსენებ, რომ მე მას ვიწვევ სამედიატორო სამართალში სწორედ მისთვის, რომ გავაგებინო და კიდეც დაუმტკიცო თუ რაში გამოიხატება ჩემს შესახებ მის მიერ ჭორებს გავრცელება. ჭრესის საშუალებით ამაზე კამათი მე არც მიკისრია და არც ვკისრულობ, რადგან იგი ნამდვილი წყლის ნაყვა იქნება და არც გაზეთის ფურცლებს სცალია ამისთვის. უკეთუ ბ-ნი „გლადიატორი" ჯარ გაურბის სასამართლოს, ვადას ვაძლევ კიდევ ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა, აღნიშნოს თავისი მედიატორები. თუ ეხლაც ვერ გაბედა გამოსვლა, მაშინ მე სრული უფლება მექნება უწოდო მას ღირსეული სახელი. მასწ. **მიხ. დეკანოსიძე.**

—

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ნება დაგვრთოთ ულრმესი მადლობა მივუძღვნათ „სახალხო გაზეთი-"ს, „ჩვენი გაზეთი-"ს, „ფონის-", „ნაკადული-"ს, „მათრახი-"ს და „Закавказье-"ს რედაქციებს, რომელთაც დაკლებულ ფასებში დაუთმეს თავიანთი გამოცემები ბაღდადის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს და ქვემოთ მოყვანილ პირთ, რომელთაც თავიანთი მხრით შემოწირულებით სოხუმიდგან დახმარება აღმოუჩინეს აღნიშნულ სამკითხველოს: ორ-ორი მანეთი ბახვა გაბუნიამ და ივანე ბურჭულაძემ, მანეთ ნახევარი—ძმათა კანტურიებმა, თითო მანეთი—ალექსანდრე მაღლაკელიძემ, ვახტანგ მიქელაიშვილმა, სამსონ დავითის-ძე კილაძემ, ნესტორ მაღლაკელიძემ, ივანე ღლონტმა, სილიბისტრო მაღლაკელიძემ, ილარიონ დარსაველიძემ, კოლია მოსიძემ, ძმ. შენგელაიებმა, ნესტორ მასხარაშვილმა, როსტომ კარანაძემ, კოწია მგელაძემ და ილიკო მოსიძემ. ათ-ათი შაური—ძმ. ერქომაიშვილებმა, უშანგი მაღლაკელიძემ, მილოსი ჩხარტიშვილმა, მიხაკო წვერავამ, მინა შაკურაძემ, კოლია თოხაძემ, ნესტორ ტუღუშმა, ერქომაიშვილმა და ეზაკელმა, მიხა ბოკუჩავამ, სვიმონ საჯინავამ, უ. თურქიამ, № 1, ისაია არაშიძემ, № 2, სამსონ გაბუნიამ, არტემ შავიშვილმა, ერმილე არაშელიძემ და კოწია ჩიქოვანმა, ორ-ორი აბაზი-პასიკო ღლონტმა და კოწია სიმონიშვილმ, ექვს-ექვსი შაური-ილიკო შათირიშვილმა, № 3 და სევერიანე მელაძემ, სულ 26 მან. 20 კაპ. ამას გარდა, ძმ. მაღლაკელიძეებმა 19 მან. 30 კაპ. ღირებული წიგნები და შოთას სურათი შემოსწირეს.

აგრეთვე ულრმეს მადლობას მივუძღვნით სიმონ ალექსანდრეს-ძე მაჭავარიანს, რომელმაც 2 მან. 50 კაპ. შემოსწირა, ვასილ სიმონის-ძ აბულაძეს-ორი დიდი სურათი გორკისა და ჩეხოვის და სილიბისტრო კიკაჩეიშვილს-ერთი მანეთი.

ბაღდადის წიგნთსაცავ—სამკითხველოს გამგეობის წევრები: კ. პეპინაძე, კ. ფურცელაძე, ერმილე დვალიშვილი.


# განცხადებანი




Метцль и К. N 187602. (10—6.—2)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავშ. და ხირურ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—118)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილოსნოსა, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიჩი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერმაცი:** 6—6½ ს საშვ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საშვილოსნოსა, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**სახირო**

კასირი—ქალი ფრინკარდის სათეატრო ტურნესთვის. მსურველმა ზედ საკმაო თანხა უნდა წარმოადგინოს. პირობების გაგება შეიძლება სასტუმრო „ორიანტში" დღის 12 საათის შემდეგ. (1—ხალ.—1)

**მატარებლების მიმოსვლა**

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმისკენ:** | N 1, სწრ.—ხაღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—ხაღ. | 7 ს. 31 წ. |
| **ბაქოსკენ:** | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| **ბორჯომისკენ:** | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| **ჯულფისკენ:** | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| **ერევნისკენ:** | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმიდან:** | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| **ბაქოდან:** | N 1, სწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 1? ს. 3? წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| **ბორჯომიდან:** | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| **ჯულფიდან:** | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| **ერევნიდან:** | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶

**მოსავალი**

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან,

რედაქციის ადრესი: **Тифлисъ, Барятинская 5. Редакцiя „Мосавали"**

**ზემო ავჭალაში** იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

**იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.**

**ქართულ** გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფე ამზადებს მოწაფეებს დაბალ გიმნაზიურ კლასებისთვის და სხვა სასწავლებლებში.

იკითხეთ „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში. (0—6.—3)

**ვ. ყიფიანის დრამა**

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**უეცხვევით იყიდება**

ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

**● ახალი წიგნი ●**

**რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები**

**იაკობ გოგებაშვილისა,**

ტომი პირველი. დაბეჭდილია უკვე 480 გვერდი, დანარჩენი 80 გვერდი დაიბეჭდება ამ თვის დამლევამდის. წიგნი დიდი ფორმატისაა. თითო გვერდზე დატეულია 38 სტრიქონი, თითო სტრიქონში არის 50 ასო. თითო წიგნი **ჯდება სამ აბაზად**. ამ ფასადვე მიიღებს წიგნს ყოველი მასწავლებელი, წიგნის მაღაზია და სხვებიც ვინც კი ახლავე დაიკვეთავენ წიგნსა და **ივლისის ათამდე** წარმოადგენენ სამს აბაზსა. ერთად-ერთი საწყობი წიგნისა არის „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში. ამიტომ ფული უნდა გამოეგზავნოს ამ საზოგადოების გამგეობას; მისაგანვე მიიღებენ დაკვეთილს წიგნებსა **პირველს ენკენისთვემდის.** ტფილისის გარეშე გასაგზავნს ფულს იხდის დამკვეთელი. რათა გაგზავნა იაფად დაუჯდეთ, უნდა წიგნი დაიბარონ ჯგუფ-ჯგუფად, პარტიებით. გამოსვლის შემდეგ წიგნი არა დამკვეთელთათვის ეღირება მანეთად. (8—315—2)